სსიპ შოთა რუსთაველის
საქართველოს ეროვნული
სამეცნიერო ფონდი

5 მაისი 2025 ქ. თბილისი

გენერალური დირექტორის

ბრძანება № 51

გამოყენებითი კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების 2025 წლის კონკურსის ფარგლებში წარმოდგენილი საპროექტო განაცხადების მოხსნის შესახებ

"გამოყენებითი კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2011 წლის 16 თებერვლის N85 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-6 პუნქტის, „2025 წლის გამოყენებითი კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსის გამოცხადების, კონკურსის პროგრამა და პირობების და საკონკურსო განაცხადის ფორმების დამტკიცების შესახებ" სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2025 წლის 12 თებერვლის N09 ბრძანებით დამტკიცებული კონკურსის პროგრამა და პირობების მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე" ქვეპუნქტის საფუძველზე და სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო დეპარტამენტის უფროსის 2025 წლის 5 მაისის სამსახურებრივი ბარათის (N479113) შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. 2025 წლის გამოყენებითი კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსის პირობებთან შეუსაბამობის გამო, მოიხსნას საპროექტო განაცხადები ამ ბრძანების დანართის შესაბამისად.
2. დაევალოს სსიპ - შოთა რუსთაველის საქართელოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მეცნიერების პოპულარიზაციის სამსახურს წინამდებარე ბრძანების განთავსება ფონდის ვერგვერდზე.
3. ბრძანება ძალაშია ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი №64).

თეიმურაზ დოჭვირი

<u>დანართი</u>

დამტკიცებულია
სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის
2025 წლის 5 მაისის №51 ბრძანებით

2025 წლის გამოყენებითი კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსიდან მოხსნილი პროექტები

N	პროექტის შიფრი	წამყვანი ორგანიზაცია	კონკურსის მოხსნის მიზეზი
1	AR-25-1608	აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი	დარღვეულია საქართველოს მთავრობის 2011 წლის 16 თებერვლის №85 დადგენილების მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის 'ა' ქვეპუნქტი და ფონდის გენერალური დირექტორის 2025 წლის 12 თებერვლის №9 ბრძანების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი- კონცეფციის ლოტისთვის არ არის წარმოდგენილი გამოგონების პატენტუნარიანობაზე (სიახლე, საგამომგონებლო დონე, სამრეწველო გამოყენებადობა) დადებითი დასკვნა (წინასწარი ძიების ანგარიში) გაცემული სსიპ – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – „საქპატენტის“ მიერ;
2	AR-25-456	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	დარღვეულია საქართველოს მთავრობის 2011 წლის 16 თებერვლის №85 დადგენილების მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის 'ა' ქვეპუნქტი, მე-2 მუხლის 'კ', მე-4 მუხლის მე-6 პუნქტი და ფონდის გენერალური დირექტორის 2025 წლის 12 თებერვლის №9 ბრძანების მე-2 მუხლის მე-7 პუნქტი;
3	AR-25-1305	საქართველოს სამთო მეცნიერებათა აკადემია	დარღვეულია საქართველოს მთავრობის 2011 წლის 16 თებერვლის №85 დადგენილების მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის 'ა' ქვეპუნქტი, მე-2 მუხლის 'კ', მე-4 მუხლის მე-6 პუნქტი და ფონდის გენერალური დირექტორის 2025 წლის 12 თებერვლის №9 ბრძანების მე-2 მუხლის მე-7 პუნქტი;
4	AR-25-589	სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრი	დარღვეულია საქართველოს მთავრობის 2011 წლის 16 თებერვლის №85 დადგენილების მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის 'ა' ქვეპუნქტი და ფონდის გენერალური დირექტორის 2025 წლის 12 თებერვლის №9 ბრძანების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი- კონცეფციის ლოტისთვის არ არის წარმოდგენილი გამოგონების პატენტუნარიანობაზე (სიახლე, საგამომგონებლო დონე, სამრეწველო გამოყენებადობა) დადებითი დასკვნა (წინასწარი ძიების ანგარიში) გაცემული სსიპ – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – „საქპატენტის“ მიერ;
5	AR-25-529	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	დარღვეულია საქართველოს მთავრობის 2011 წლის 16 თებერვლის №85 დადგენილების მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის 'ა' ქვეპუნქტი და ფონდის გენერალური დირექტორის 2025 წლის 12 თებერვლის №9 ბრძანების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი- კონცეფციის ლოტისთვის არ არის წარმოდგენილი გამოგონების პატენტუნარიანობაზე (სიახლე, საგამომგონებლო დონე, სამრეწველო გამოყენებადობა) დადებითი დასკვნა (წინასწარი ძიების ანგარიში) გაცემული სსიპ – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – „საქპატენტის“ მიერ;

6	AR-25-1831	სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი	დარღვეულია კონკურსის პირობების მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის 'ზ' ქვეპუნქტი და ამავე მუხლის მე-3 პუნქტი -ძირითადი პერსონალი ლ. უ. ჩართულია ფონდის მიერ დაფინანსებულ ერთ მიმდინარე პროექტში: STEM-22-834, ასევე კონკურსში წარმოდგენილ ორ პროექტში: AR-25-1831, AR-25-217;
7	AR-25-797	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	დარღვეულია კონკურსის პირობების მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის 'ზ' ქვეპუნქტი და ამავე მუხლის მე-3 პუნქტი: • ძირითადი პერსონალი ზ. კ. ჩართულია ფონდის მიერ დაფინანსებულ ორ მიმდინარე პროექტში: FR-23-8750, BRG-I-23-363, ასევე კონკურსში წარმოდგენილ ერთ პროექტში: AR-25-797; • ძირითადი პერსონალი მ. ქ. ჩართულია ფონდის მიერ დაფინანსებულ ერთ მიმდინარე პროექტში: AR-22-2370, ასევე კონკურსში წარმოდგენილ ორ პროექტში: AR-25-797, AR-25-827; • ძირითადი პერსონალი გ. კ. ჩართულია ფონდის მიერ დაფინანსებულ ერთ მიმდინარე პროექტში: AR-22-2370, ასევე კონკურსში წარმოდგენილ ორ პროექტში: AR-25-797, AR-25-1099.
8	AR-25-213	გ. ელიავას სახელობის ბაქტერიოფაგიის, მიკრობიოლოგიისა და ვირუსოლოგიის ინსტიტუტი	დარღვეულია კონკურსის პირობების მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის 'ზ' ქვეპუნქტი და ამავე მუხლის მე-3 პუნქტი - ძირითადი პერსონალი ე. ზ. ჩართულია ფონდის მიერ დაფინანსებულ ორ მიმდინარე პროექტში: STEM-22-1601, FR-21-8952, ასევე კონკურსში წარმოდგენილ ერთ პროექტში: AR-25-213; დარღვეულია საქართველოს მთავრობის 2011 წლის 16 თებერვლის №85 დადგენილების მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის 'ა' ქვეპუნქტი და ფონდის გენერალური დირექტორის 2025 წლის 12 თებერვლის №9 ბრძანების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი- კონცეფციის ლოტისთვის არ არის წარმოდგენილი გამოგონების პატენტუნარიანობაზე (სიახლე, საგამომგონებლო დონე, სამრეწველო გამოყენებადობა) დადებითი დასკვნა (წინასწარი ძიების ანგარიში) გაცემული სსიპ – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – „საქპატენტის“ მიერ.
9	AR-25-217	საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი	დარღვეულია კონკურსის პირობების მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის 'ზ' ქვეპუნქტი და ამავე მუხლის მე-3 პუნქტი - ძირითადი პერსონალი ლ. უ. ჩართულია ფონდის მიერ დაფინანსებულ ერთ პროექტში: STEM-22-834, ასევე კონკურსში წარმოდგენილ ორ პროექტში: AR-25-217, AR-25-1831.
10	AR-25-347	ფერდინანდ თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტი	დარღვეულია კონკურსის პირობების მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის 'ზ' ქვეპუნქტი და ამავე მუხლის მე-3 პუნქტი - ძირითადი პერსონალი გ. პ. ჩართულია ფონდის მიერ დაფინანსებულ ორ პროექტში: STEM-22-1113, AR-22-1411, ასევე კონკურსში წარმოდგენილ ერთ პროექტში: AR-25-347.
11	AR-25-1099	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	დარღვეულია კონკურსის პირობების მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის 'ზ' ქვეპუნქტი და ამავე მუხლის მე-3 პუნქტი - ძირითადი პერსონალი გ. კ. ჩართულია ფონდის მიერ დაფინანსებულ ერთ პროექტში: AR-22-2370, ასევე კონკურსში წარმოდგენილ ორ პროექტში: AR-25-1099, AR-25-797.
12	AR-25-2612	საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი	დარღვეულია კონკურსის პირობების მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის 'ზ' ქვეპუნქტი და ამავე მუხლის მე-3 პუნქტი - ძირითადი პერსონალი ვ. კ. ჩართულია ფონდის მიერ დაფინანსებულ ორ პროექტში: SL-24-089, AR-22-476, ასევე კონკურსში წარმოდგენილ ერთ პროექტში: AR-25-2612.

13	AR-25-827	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	• დარღვეულია კონკურსის პირობების მე-5 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები - ძირითადი პერსონალი ნ. შ. ხელმძღვანელის სტატუსით ჩართულია ფონდის მიერ დაფინანსებულ ერთ პროექტში: FR-21-7307, ასევე კონკურსში წარმოდგენილ ერთ პროექტში: AR-25-827 ხელმძღვანელის სტატუსით; • დარღვეულია კონკურსის პირობების მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის 'ბ' ქვეპუნქტი და ამავე მუხლის მე-3 პუნქტი - ძირითადი პერსონალი მ. ქ. ჩართულია ფონდის მიერ დაფინანსებულ ერთ პროექტში: AR-22-2370, ასევე კონკურსში წარმოდგენილ ორ პროექტში: AR-25-797, AR-25-827.
14	AR-25-3634	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ინტელექტუალური საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტის მიმართ დადგენილი ხარვეზის გამოუსწორებლობის გამო (საქართველოს მთავრობის 2011 წლის 16 თებერვლის №85 დადგენილების მე-5 მუხლის, მე-5 პუნქტის, 'გ' ქვეპუნქტი და ფონდის გენერალური დირექტორის 2025 წლის 12 თებერვლის №9 ბრძანების მე-4 მუხლის, მე-2 პუნქტი) საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად საკითხი დარჩა განუხილველი.
15	AR-25-700	ფერდინანდ თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტი	ინტელექტუალური საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტის მიმართ დადგენილი ხარვეზის გამოუსწორებლობის გამო (საქართველოს მთავრობის 2011 წლის 16 თებერვლის №85 დადგენილების მე-5 მუხლის, მე-5 პუნქტის, 'ა' ქვეპუნქტი და ფონდის გენერალური დირექტორის 2025 წლის 12 თებერვლის №9 ბრძანების მე-2 მუხლის, მე-2 პუნქტი) საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად საკითხი დარჩა განუხილველი.
16	AR-25-1239	თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი	ძირითადი პერსონალის ე. მ.-ის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის მიმართ დადგენილი ხარვეზის გამოუსწორებლობის გამო (ფონდის გენერალური დირექტორის 2025 წლის 12 თებერვლის №9 ბრძანების მე-7 მუხლის, მე-3 პუნქტი) საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად საკითხი დარჩა განუხილველი.
17	AR-25-2702	საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი	ინტელექტუალური საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტის მიმართ დადგენილი ხარვეზის გამოუსწორებლობის გამო (საქართველოს მთავრობის 2011 წლის 16 თებერვლის №85 დადგენილების მე-5 მუხლის, მე-5 პუნქტის, 'ა' ქვეპუნქტი და ფონდის გენერალური დირექტორის 2025 წლის 12 თებერვლის №9 ბრძანების მე-2 მუხლის, მე-2 პუნქტი) საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად საკითხი დარჩა განუხილველი.